ირინე ელიზბარაშვილი*
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ძველი და ახალი მასალები იკორთის ტაძრის შეკეთება-აღდგენის შესახებ

XII საუკუნე, რომელიც საქართველოს პოლიტიკური სიძლიერის მწვერვალს წარმოადგენდა, ამავე დროს სრულიად განსხვავებული, პროგრესული მსოფლმხედველობის დამამკვიდრებელიც იყო. ახალი აზროვნების უმნიშვნელოვანეს ფორმას ადამიანის პირადი ღირსების წარმოჩენა წარმოადგენდა. მოწინავე მოაზროვნე საზოგადოებაშიც და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სფეროშიც საქმიანობა სწორედ ამ ძირითად, ახალ მოძღვრებაზე იყო დამყარებული.[1]

ამ ჰუმანურმა იდეებმა იმდროინდელი ხუროთმოძღვრების შინაარსსა და იერსახეზეც მოახდინეს გავლენა. ერის ძლიერების აღმნიშვნელ მონუმენტურ და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ, მასშტაბური და ამაღლებული შინაარსით დატვირთულ XI საუკუნის ხუროთმოძღვრებას, რომელსაც, ვ. ბერიძის თქმით ზოგადნაციონალური მნიშვნელობა ენიჭება და ერის გაერთიანების სიმბოლოდ წარმოგვიდგება,[2] XII საუკუნეში ცელის უფრო კამერული, ინდივიდუალური, ინტიმური „პიროვნული" არქიტექტურა.

იკორთის მთავარანგელოზის ტაძარი სწორედ ამ ეპოქის (XII ს.) ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშია. საუკუნეთა მანძილზე იგი საქართველოს ერთ-ერთ მძლავრ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. დიდია მისი ისტორიული მნიშვნელობაც. გვიანფეოდალურ ხანაში იკორთა ქსნის ერისთავთა საგვარეულო საძვალე იყო. სწორედ ამ ტაძარში ჰპოვა საბოლოო განსასვენებელი 1659 წლის კახეთის აჯანყების გმირების – შალვა და ელიზბარ ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის სპარსეთიდან ჩამოსვენებულმა ნეშტმა.

იკორთის ტაძარი მდებარეობს შიდა ქართლში, ქ. გორიდან 20-ოდე კმ-ის მოცილებით, ვიწრო ისროლის ხევში (ადგილობრივები ამ ხევს გადაკოდილას უწოდებენ), მთებით გარშემორტყმულ შევაკებაზე. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „ბიყრის ზეით არს ისროლისხევი, ვითარცა სხუანი ამ მხრის მთის ადგილნი, იწრო, ტყიანი და მწირი. ხოლო კუალად ორბოძლის მთის სამხრით არს მთის კალთასა შინა, იკორთის მონასტერი დიდი, გუმბათოვანი, კეთილად ნაშენი კარგს ადგილს, ზის არქიმანდრიტი".[3] ე. ი. ვახუშტი ბაგრატიონის დროს XVIII საუკუნეში ტაძარი ჯერ კიდევ მოქმედია.

იკორთის მთავარანგელოზის ტაძარი წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას (18.50X13.25), რომელშიც გუმბათი ეყრდნობა საკურთხეველის კუთხეებს და დასავლეთით ორ ბოძს. ჯვრის დასავლეთი მკლავი წყვილი სვეტით არის გაყოფილი და დაგრძელებული. აღმოსავლეთით ის ღრმა აფსიდით სრულდება. საკურთხეველი ბემით არის გადიდებული. პასტოფორიუმებიც აფსიდიანია და ეკლესიის დანარჩენ სივრცეს თაღით უერთდება. მათ თავზე სამალავებია მოწყობილი (ნახ. 1, სურ. 1).

---

* ფოტოები მერაბ ბოჭოიძისა.

[1] ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II., თბ., 1983, გვ. 384.

[2] ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 48.

[3] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973, გვ. 361-362.



ნახ.1. იკორთა. გეგმა

გარედან ეკლესია მოპირკეთებულია თლილი ქვით. ფასადები მორთულია თაღნარით და ორნამენტით. განსაკუთრებით გამოიყოფა გუმბათი, რომლის თორმეტივე სარკმლის საპირე დაფარულია ცვალებადი ორნამენტული მოტივებით. ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილია XII-XIII საუკუნეების კედლის მხატვრობა.



სურ. 1. იკორთა. საკურთხეველი

რთული და მძიმე იყო იკორთის მონასტრის ცხოვრება. საუკუნეთა მანძილზე იგი არაერთგზის მიუტოვებიათ: ფუჭდებოდა მისი გადახურვა, წყალი რეცხავდა XII საუკუნის შესანიშნავ მხატვრობას. არ მოაღწია ჩვენამდე თანადროულმა მოჩუქურთმებულმა კარიბჭეებმაც. XVII საუკუნეში ტაძარს დასავლეთიდან ახალი კარიბჭე მიუშენეს. ამ დროს მონასტერი ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. მათ იკორთა სიმაგრედ უქცევიათ, ეკლესიის ირგელივ გალავანი შემოუვლიათ, რომლის აღმოსავლეთ მხარეს, კუთხეებში სწორკუთხა კოშკები აუგიათ, ხოლო დასავლეთით, შემაღლებაზე საკმაოდ რთული კონფიგურაციის ციტადელი აღუმართავთ[4] (ნახ. 2).

ციტადელის ნანგრევები დღესაც ძალიან შთამბეჭდავად გამოიყურება, გალავნისაგან კი აღარაფერია დარჩენილი. ასევე სრულიად განადგურებულია მონასტრისთვის აუცილებელი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი,

[4] ვ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, თბ., 1975, ტ. I, გვ. 113-114. П. Закарая, Древние крепости Грузии, 1969, გვ. 126-129.



ნახ. 2. იკორთა. გეგმა

რომელთა არსებობაზე XIX-XX საუკუნეების არაერთი მკვლევარი მიუთითებს. ტერიტორიის ბორცვული ზედაპირიც იმის მანიშნებელია, რომ მიწის აღებისა და გაწმენდის შემთხვევაში, აქ ნამდვილად აღმოჩნდება სამონასტრო ნაგებობათა კვალი.

იკორთის ტაძრის აღშენებაზე ისტორიულ წყაროებში ცნობა არ მოგვეპოვება. ერთადერთი მონაცემი მშენებლობის შესახებ შემორჩენილი ყოფილა ლაპიდარულ წარწერებში, რომელნიც განთავსებული იყო ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე და მათაც კი ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევიათ. სააღმშენებლო წარწერა მთლიანად განადგურებულია. დღეს არარსებულ, ძლიერ დაზიანებულ და სახეცვლილ წარწერათა შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ XIX საუკუნის მკვლევართა პუბლიკაციების მიხედვით. იკორთა სწორედ ამ პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და წარწერებიც სხვადასხვანაირად არის გაშიფრული.

ეკლესიის ლაპიდარული წარწერებიდან აღშენების თარიღის მანიშნებელი იყო დასავლეთისა, რომელიც შესასვლელის მარჯვნივ იყო განთავსებული. ამჟამად მისგან მხოლოდ სამი ასო არის შემორჩენილი. საყურადღებოა, რომ ეკლესიას მცირე ზომის თანადროული კარიბჭის ნაცვლად სწორედ დასავლეთიდან მიადგეს XVII საუკუნეში დიდი და ახალი ბჭე, რომელმაც იმთავითვე გაართულა წარწერის წაკითხვა.

მკვლევართაგან ეს წარწერა გაშიფრულია მარი ბროსეს, თედო ჟორდანიასა და პლატონ იოსელიანის მიერ. ყველაზე სრულყოფილი სახით, ასომთავრული ასოების გადმოხატვით, ეს წარწერები მოცემულია მხოლოდ მარი ბროსეს „რაპორტებში“.

ბროსე წარწერას შემდეგნაირად კითხულობს:

„ქ. სამებაო, ერთობაო, ადიდენ ორთავე შინა
ცხოვრებათა ეგდნ სუ... და ბეშქენ
...ბჭესა ვრდა ჰერისთავსა ესტატეს მხლ
....თ და ლოცვა ჰყავთ ქვხ ტჟბ“[5]

[5] M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, VIe rapport, St. Petersbourg, 1851, გვ. 67.

სურ. 1. იკორთა

ორ დანარჩენ მკვლევარს მხოლოდ ტექსტი აქვს მოყვანილი. პლატონ იოსელიანთან (1865 წ.) წარწერა ასე ეკითხება:

„სამებაო ერთობაო ადიდენ ორთავე შინა ცხოვრებათა

ეგ'ურდან სოლომონ და ბე'შქენ- - -

—

...ბ'ესა ვარდან ერისთავერისთავი, ლოცვა-ყავთ

ქრონიკონსა ტ'ებ"[6]

ბროსესა და იოსელიანის წაკითხულს შორის განსხვავება მეორე სტრიქონის სახელებში (ეგ'ურდან, სოლომონ - პ.ი. და ეგდნ სუ-მ.ბ.) და ნაწილობრივ მე-3 სტრიქონშია. ამასთან, იოსელიანი უყრო შემოკლებ'ულ ვარიანტს წარმოგვიდგენს. რაც შეეხება ქრონიკონს, ან'ე 1172 წელს, იგი უცვლელი რჩება ყველა მკვლევარის ტექსტში. პლატონ იოსელიანის აზრით, წარწერა'ში მოცემ'ული სახელები უცნობია ისტორიისთვის და თუმცა ქრონიკონით მოცემ'ული წელი, მისი აზრით, შეეფარდება 1172 წელს, ან'ე მეფე გიორგი III ბრწყინვალის მეფობას, ის ამ თარიღს ეკლესიის შეკეთების და არა აღშენების თარიღად მიიჩნევს. პლატონ იოსელიანის მოსაზრებებს ძეგლის თარიღზე ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, ვინაიდან ეს თვალსაზრისი საკმაოდ პოპ'ულარული გახდა იმდროინდელ პ'ublიცისტიკაში და აღიაცებ'ულიც იყო საზოგადოების მიერ.

ახლა კი ამ წარწერის ჟორდანიასეული ვერსია. 1892 წელს ჟორდანიას მიერ წაკითხ'ული ტექსტი მცირედ განსხვავდება ზემოთ მოწოდებ'ულისგან: „ქ. სამებაო ერთარსებაო ადიდე ორთავე შიგ ცხოვრებათა ე-ე (ერისთაერისთავნი) სუ[ლა] - - რ - - და ბეშქენ - - -ბ'ესა: ვრდ: - - ლეიარსა (?) ე-ეს (ერისთავ-ერისთავს) მ-ხლ (მიხაილ?) - - თ: და: ლოცვა ყავთ: ქ - - ტ'ებ:"[7]

პ. ზაქარაია, საგანგებოდ განიხილავს წარწერის ბროსესა და ჟორდანიასეულ ინტერპრეტაციას და აღნიშნავს, რომ ჟორდანიასთან ასომთავრ'ულის გადმონაწერის არარსებობა სპობს შედარების საშუალებას. თუმცა ზოგიერთ სახელში განსხვავებაა. თარიღი ტ'ებ აქაც უცვლელი რჩება.[8]

ჟორდანიას დროს ხსენებ'ული წარწერა უკვე ფრიად დაზიანებ'ული ყოფილა. იგი აღნიშნავს, რომ მისი გაშიფრვა ცოტა განსხვავდება ბროსეს ვარიანტისგან.

---

[6] П. Иоселиани, Икортский монастырь в Карталинии. Грузинский духовный вестник (საქართველოს სასულიერო მახარებელი), XI, 1865.

[7] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტფ., 1892, ტ. I, გვ. 259-260.

[8] პ. ზაქარაია, დას. ნაშრომი, გვ. 114-115.

მეორე წარწერა, რომელიც ქტიტორთა სახელებს შეიცავს, კარგად არის შემონახული. იგი მოთავსებულია აღმოსავლეთი ფასადის ცენტრში, დეკორატიული ჯვრის ჰორიზონტალური მკლავების ქვეშ.

წარწერა დაქარაგმებულია. მისი გაშიფრვა ბროსეს გაუჭირდა. იგი მოკრძალებულად გვთავაზობს თავის მოსაზრებას: „ძელო ცხოველო შეიწყალე სული ესტატესი", ამას კი მოყვება საკმაოდ არეული დაუსაბუთებელი მოსაზრებები და, ბოლოს, სახელთა ჩამონათვალი: ვარდ ან ვრდა, არსენი, იოანე, ბასილი და თლგაი.[9]

ამავე წარწერას თ. ჟორდანია შემდეგნაირად კითხულობს:

„ძელო ცხოველო: შეიწყალნ(შ-ნ) სულითა ერისთავ-ერისთავნი (ე-ე)

ვრდა (ვარდა?): არსენი: ჭ: ბ: (ჭიაბერი): ბასილი და თალაგა".

ჟორდანია დასძენს, რომ ღურბინდის უქონლობის გამო შეიძლება შეცდომით იყოს ამოკითხული სიტყვა „ბასილი". წარწერაში ხსენებულ ჭიაბერს ჟორდანია უკავშირებს მეფე გიორგი III-ის გაზრდილს და თამარის თანამოღვაწე ისტორიულ პირს. ვარდანთან დაკავშირებით ის რამდენიმე ვერსიას გვთავაზობს: I – ვარდან მეჭურჭლეთუხუცესი, II – ვარდან კოლანკელიძე ერისთავი, III – ვარდან დადიანი.[10]

პლატონ იოსელიანი იძლევა თითქმის იგივე ინტერპრეტაციას, ოღონდ ვერ ხსნის ასოებს ჭ და ბ-ს, რომლებიც ყველა მკვლევარის მიერ ჭიაბერად არის მიჩნეული.[11] ძეგლის აღშენებისდროინდელი წარწერებიდან ეს ერთადერთი დღესაც არსებული წარწერაა, რომლის შედარებით სრული გაშიფვრა პ. ზაქარაიას ეკუთვნის: „ძელო ცხოველო, შეიწყალე სულითა ერისთავ-ერისთავი ვარდანი, არსენი, ჭიაბერი (?), ბასილი და თლსგგა (თვალისგუგა?)"

ზაქარაიას აზრით, ტაძრის არქიტექტურული მონაცემები ეთანხმება წარწერაში მოცემულ თარიღს – 1172 წელს. რაც შეეხება ზედა წარწერას, რადგან იგი მთლიანად არ იკითხება, სახელების გაშიფვრა საეჭვოა. სახელი ვარდანი ეჭვს არ იწვევს, თუმცა ისტორიულ წყაროებში ეს სახელი არ გვხვდება. რაც შეეხება საეჭვო ჭიაბერს, ავტორი იზიარებს უკვე არსებულ მოსაზრებებს და უკავშირებს ამ სახელს ისტორიულ პირს, რომელიც გიორგი III-ის მეჯინიბეთუხუცესი ყოფილა, თამარს კი მისთვის მანდატურთუხუცესობა უბოძებია.[12]

მ. ბროსეს გამოქვეყნებული აქვს დასავლეთი ფასადის კარიბჭის თავზე მოთავსებული კიდევ ერთი ოთხსტრიქონიანი წარწერა, რომელიც დღეს აღარ არსებობს.

იგი წარწერას ასე კითხულობს:

„ქ. ხმა დგი ქმული ხელთა შენთა მეუფეო. რომელმან ბესელიელსა ასწავენ სიბრძნთ ქმნასა ვეცხლისა და კვალად გაწმენდილსა არქიპოსს თვთ ბრ(ძანე) გება ტაძრისა. მეცა ულირსი პერებელ 'შეიწყალე".[13]

პ. ზაქარაია დედნის მოშლის გამო კომენტარისგან თავს იკავებს.[14]

იგივე წარწერა, ოღონდ საკმაოდ სახეცვლილი, მოყვანილი აქვს პლატონ იოსელიანსაც:[15]

---

[9] M. Brosset, დას. ნაშრომი, გვ. 67; პ. ზაქარაია, დას. ნაშრომი, გვ. 115.

[10] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 260.

[11] П. Иоселиани, დას. ნაშრომი, გვ. 127.

[12] პ. ზაქარაია, დას. ნაშრომი, გვ. 115.

[13] M. Brosset, დას. ნაშრომი, გვ. 66.

[14] პ. ზაქარაია, დას. ნაშრომი, გვ. 116.

[15] П. Иоселиани, დას. ნაშრომი, გვ. 225.

„...სადგური ქმნილი ხელთა ჩუნთა რომელმან სო
..ლომონს ასწავა სიბძნითა ქმნა.....
...'შენდა მოსავსა კეთილგანწმენდილსა არქიპოზ აგება
ტაძრისა, მეც ულირსი ბასილი შემიწყალე"

ამ წარწერას იოსელიანი შემდეგ განმარტებას აძლევს: „სოლომონის სახელი, როგორც ღმერთის ტაძრის პირველი აღმშენებლისა, ცნობილია. რაც შეეხება სახელ არქიპოზს (ბროსესაც ეს სახელი დაფიქსირებული აქვს), იგი აკავშირებს მას IV საუკუნეში მცხოვრებ არქიპოსთან, რომელიც ხონას მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარში იმყოფებოდა; როდესაც წარმართებმა ტაძრის დანგრევის მიზნით მდინარიდან არხი გათხარეს, არქიპოს ლოცვამ შთანთქა წყალი და გადაარჩინა ტაძარი. ამავე თემაზე იოსელიანს უფრო ერცელი ლეგენდაც აქვს მოყვანილი, ხოლო არქიპოზის სასწაულის თარიღად – 6 სექტემბერი, რაც, მისი თქმით, იკორთის ტაძრის დღესასწაულს ესადაგება.

პლატონ იოსელიანის აზრით, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია მთავარანგელოზის ტაძრის იკორთაში აღშენებისა და სახელი არქიპოს ხსენება საკმარისია ამის დასასაბუთებლად. იგი იმასაც წუხს, რომ ქართულ წყაროებში, მისი სიტყვებით, „ქართველ მწერლებს" ამაზე არაფერი დაუწერიათ.

საერთოდ, პლატონ იოსელიანი იკორთასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო, მაგრამ, ამავე დროს, საეჭვო ცნობებსაც იძლევა. მან პირველმა, ამ დროის მრავალრიცხოვან მეცნიერთა შორის, დაუკავშირა ტაძრის აღშენება VII საუკუნეს, კერძოდ, ადარნასეს მმართველობას, რაც ნაწილობრივ გაზიარებული იყო იმდროინდელი პრესისა და ზოგიერთი მკვლევარის მიერ.

პ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ იკორთა, ძველ აქტებში ვირშის სახელით არის ცნობილი და უკავშირებს ამ სახელს ერისთავების საგვარეულოს, რომელთა ქარტებში ეს სახელი ჯერ კიდევ ადარნასე პირველის დროს იჩენს თავს, რის დასტურად იგი ბროსეს მიერ ლარგვისის წმინდა თევდორეს მონასტერში დაცულ უძველეს პერგამენტზე შესრულებულ აქტს იმოწმებს. თქმულებით ვირშა აღმშენებლის სახელი კი არ არის, არამედ ერისთავთა სახელწოდებაა (ვირშელები, ბიბილურები და სხვ.).

ტაძრის სიძველის დასამტკიცებლად პლატონ იოსელიანს საბუთად მოყავს (მხოლოდ სიტყვიერად) XVII საუკუნის დოკუმენტი, რომელიც ქსნის ერისთავებთან ჰქონია აღმოჩენილი. საბუთში მითითებული ყოფილა, რომ ტაძარი ბერძენ იმპერატორ იუსტინიანეს დროს აუგიათ ქსნის ერისთავებს. თვითონ იოსელიანს სარწმუნოდ მიაჩნია ეს საბუთი და თვლის, რომ ასეთი ინფორმაცია შეუძლებელია მხოლოდ ზეპირ გადმოცემაზე ყოფილიყო დაფუძნებული. მას აუცილებლად ადრეული საბუთი ექნებოდა საფუძვლად. თუმცა თვითონ იგი მის მიერ ნანახი დოკუმენტის ადგილსამყოფელს არ მიგვანიშნებს.

პ. იოსელიანის აზრით, ტაძარი უეჭველად VI საუკუნეში იყო აგებული, ოღონდ ტაძრის კედლებზე შემორჩენილი სააღმშენებლო წარწერაში 1172 წლის ხსენება მიგვანიშნებს იმას, რომ XII საუკუნეში ტაძარი განახლებული ყოფილა.

ყველაზე გასაკვირი და გასაოცარია იოსელიანისეული ტაძრის აღწერა. იკორთის მაღალყელიან, ატყორცნილ გუმბათს იგი აღწერს როგორც დაბალს, გაბრტყელებულს, მისი სიტყვებით ისეთს, როგორსაც XI საუკუნემდე აგებდნენ საქართველოში. გარდა აღმოსავლეთი ფასადის ჯვრისა და ფესტონებისა, სხვა დანარჩენ საფასადო მორთულობასაც იგი გვიანდელად მიიჩნევს.[16]

---

[16] П. Иоселиани, დას. ნაშრომი, გვ. 225.

სიუ ლიად ბ·ა·ᲠᲔᲙᲜᲔᲣᲚᲘᲐ, რამ გამოიწვია ტაძრის ასეთი შეფასება. საყურადღებოა, რომ დიმიტრი ბაქრაძეც იკორთის ტაძრის შესახებ საუბრისას ზუსტად იმეორებს პლატონ იოსელიანის აღწერას. საერთოდ, ბაქრაძეს ძირითადად მოყავს სხვათა აზრი ამ ტაძრის შესახებ. თარიღში ის მერყეობს, თითქოს არ იცის ვის მიემხროს. მას ნეიტრალური პოზიცია უკავია. აღნიშნავს კიდეც, რომ თარიღი მისთვის ცნობილი არ არის, თუმცა ბროსე მიიჩნევს 1172 წელს, წარწერიდან კი მხოლოდ ის ირკვევა, რომ ტაძარი XVII საუკუნე'ში იყო აღდგენილი.[17]

სამწუხაროდ, ამ ორი დიდი მეცნიერის ასეთმა პოზიციამ გარკვეული გავლენა მოახდინა იმდროინდელ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ოდესღაც ამ ადგილზე ეკლესია იყო აღმართული, თუმცა ეს არც ისტორიულ წყაროებ'ში, არც, მით უფრო, ძეგლის დღევანდელი იერსახით დასტურდება. ტაძრის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი უტყუარს ხდის ეკლესიის XII საუკუნის მეორე ნახევარში აგებას. შესაძლოა, ძეგლის გაწმენდამ და 'ურფების გაჭრამ ძველი ნაგებობის კვალი გამოავლინოს. ყოველ 'ემთხვევა'ში, ეს მომავლის საქმეა, ამ ეტაპზე კი იგი მთლიანად, სხვადასხვა დროის შეკეთების მიუხედავად, XII საუკუნის მეორე ნახევრის უტყუარი ნიმუშია.

კვლავ დავუბრუნდეთ ეკლესიის კედლებზე არსებულ წარწერებს. კიდევ ერთი, ძველი დროის მკვლევართათვის უცნობი წარწერა, დაფიქსირებული იყო პ. ზაქარაიას მიერ აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ქვეშ:

„ქრისტ'Ე შეიწყალე ეგნატი სულით ამინ".

ეს წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით განსხვავდება *იკორთის* დანარჩენი *წარწერებისგან* და, *როგორც* პ. ზაქარაია აღნიშნავს, შემთხვევით ადგილზეა ნასმული, სარკმლის მომჩარჩოებელი ლილვის ქვეშ. ეს, შესაძლოა, ადრეული (XIV ს-ის) შეკეთების შედეგია. აქ ნახსენები პირი, ეგნატი, უცნობია ისტორიაში.[18]

ტაძრის შემდგომი ცხოვრების აღსადგენად საგულისხმოა მემატიანეს ცნობა: „დიდ წვიმობამ და ქსნის ადიდებამ ლარგვისის ტაძარი დაანგრია. მა'შინ ერისთავმა იოანემ იწყო შენება და სამ წელ'ში აღაშენა ლარგვისის ტაძარი. ამავე ჟამსა ქვემო დვალთა „წარასხეს ზროხაი აწერის ხევით. ესმა ერისთავსა იოანესა და განილაშქრა. ხოლო ურმა იგი ვირ'შელი წუთდა ჩუ'ლ იყო. არამედ წინამძღვარ ექმნა ლა'შქართა თვისთა და გარდავლეს მთა თ'უესა ოკდონბერსა სავსე თოვლითა, და აღ·ესნეს ლა'შქარნი ყოვლითა ალაფითა და ნატყუ'ნვითა და წარმოვიდნენ განმარჯვებულნი.

მა'შინ მო'ᲨᲚᲘᲚᲘᲧᲝ იგი საყდარი იკორთას, მთავარანგელოზისა მიᲬᲐᲚᲘᲡᲘ და იწყეს შენებად, და კუალად ეანჩაეთს მეორედ აღმ'ᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚ იქმნნეს ტაძრისა დედისა ღმრთისასა."[19]

თუმცა მატიანე'ში ზუსტი თარიღი არ არის მითითებული, ლარგვისის ტაძრის დიდწვიმობა'ში დანგრევა და აღდგენა, რომელიც XIV საუკუნის მეორე ნახევარ'ში მოხდა[20] – და ეანჩაეთის კაბენის ღმრთისმშობლის ეკლესიის ამავდროული შეკეთება – აზუსტებს თარიღს[21] XIV საუკუნის მეორე ნახევრით.

შედარებით ნაოელ სურათს იძლევა ფასადების წყობა. XIV საუკუნის წყობის ხასიათი დიდად განსხვავებულია. XII საუკუნის შედარებით დიდი ზომის ქვები იცვლება უფრო წვრილით, რიგების ჰორიზონტალობის მეტ-ნაკლები დაცვით. ასეთი ხასიათის წყობა ეკლესიის ფასადების ნახატ'ში სხვადასხვა ადგ·ᲚᲖᲔ იჭრება.

---

[17] Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства,Тиф., 1875, გვ. 73.

[18] პ. ზაქარაია, დას ნა'შრომი, გვ. 116.

[19] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 112.

[20] რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии - Шида Картли, Тб., 1975, გვ. 140-141.

[21] იქვე, გვ. 25-27.

ტაძრის ცხოვრების შემდეგი ეტაპი კვლავ მის კედლებზეა აღბეჭდილი. ძეგლის თანადროული კარიბჭე ადრევე მოიშალა. დასავლეთი შესასვლელის დიდ ქვაზე ერცელი წარწერაა მოთავსებული, რომელიც, როგორც ვიცით, ნაწილობრივ დაფარა მოგვიანებით მიდგმულმა ახალმა კარიბჭემ.

ეს მხედრული წარწერა იკორთის ტაძრის ოთხივე მკვლევართან (ბროსე, იოსელიანი, ჟორდანია, ზაქარაია) არის მოტანილი.[22]

ა:შე...
- - - - როდამ დიდ...
- - - - ცოლყოფილმან...
- - - - მთის თავმან იესე ვიგულის მო...
ღვთაებისაგან ეს მთავარანგელოზის...
ხელ ახლად ხელ-ვყავით, ვითაც დიმ...
ოთხი სამხრო გავაკეთეთ, შიგნით სახლები...
ერებოდა სამრეკლო საძირკვლით გავასრულეთ...
თა აღვაშენეთ, სულისა ჩვენისა საოხად ძეთა ჩვენთა
სასულიარ...
ეგრძელოდ, შეიწირეთ წმინდანო მთავარ-ანგელოზნო
მეორე ესე მსახურე...
ოხ გვეყვენით, დღესა მას დიდსა განკითხვისასა,
ამასვე ქესა ტი შანაოზ მეფის:

როგორც წარწერიდან ირკვევა, იესე ქსნის ერისთავს დიდი სამუშაოები ჩაუტარებია ტაძრის ტერიტორიაზე, სხვადასხვა სამონასტრო ნაგებობები და სამრეკლო აუგია და ეკლესია შეუკეთებია. ეს ყველაფერი მეფე შაჰნავაზის (1658-1675 წწ.) დროს მომხდარა, 1672 წელს.

მაგრამ არც ერთ ამ ნაგებობას დღემდე არ მოუღწევია. XVIII საუკუნეში შემოჭრილ მტრის ჯარს მთელი ტერიტორია დაუქცევია: „ქრონიკონსა უკ'ს (1738 წ.) თვესა ივლისსა წავიდა სეფი-ხან და ასლამას-ხან და ორი სხვა ხანი ისევ განჯას, მიუხდენ ერისთავ შანშეს, დააქციეს იკორთის სამრეკლო და კულბითის ციხე.

ქრონიკონსა უკე აპრილს კიდე მოვიდა სეფი-ხანი დიდი ჯარით და აიღო ციხე იკორთისა".[23]

ტაძრის გალავანიც XVIII საუკუნის ბოლოს დაქცეული ყოფილა. ამის საბუთია მეფე გიორგი XII-ის მიერ თავისი ვაჟის იოანესადმი 1800 წელს მიწერილი წერილი: „წინამძღვარი იკორთისა მონასტრისა ჩივის მეზობლებზე ეკლესიისა მამულებსა არ გვანებებენო... გალავანიც დაქცეულა. უბრძანე სახასო გლეხთა შენობაზედ გაისარჯნენ რადგანაც მათი სალოცავიც არის."[24]

იკორთის ბოლოჟამინდელი (XIX ს-ის ბოლო – XX ს-ის დასაწყისი) ცხოვრების ისტორია სახოვნად წარმოჩნდა იმდროინდელ პერიოდიკაში და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ წერილებში.[25]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტაძარი ორჯერ ზედიზედ იყო შეკეთებული – პირველად XIX საუკუნის ბოლოს (1891 წ.), მეორედ კი XX საუკუნის დასაწყისში. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ მოძიებული მასალიდან არ ჩანს, რა იყო მიზეზი ტაძრის

---

[22] M. Brosset, დას. ნაშრომი, გვ. 68; თ. ჟორდანია, დას. ნაშრომი, გვ. 488.

[23] პ. ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 55,51.

[24] პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება, თფ., 1845, გვ. 205-206.

[25] ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მასალის მოწოდებისთვის ავტორი მადლობას უხდის ბ-ნ დიმიტრი თუმანიშვილს.

დაზიანებისა, რამაც განაპირობა ორი ათეული წლის შემდეგ მისი ხელახალი შეკეთება. სამაგიეროდ, ცნობილი გახდა რემონტის თარიღიც და ამ სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი არქიტექტორის ვინაობაც (ბილფელდი), ამავე დროს – ჩატარებულ სამუშაოთა თანმიმდევრობა, ანგარიშსწორების წესი (ხარჯთაღრიცხვა), და მრავალი სხვა აქამდე უცნობი ის მასალა, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო უნდა იყოს.

იმისდა მიუხედავად, რომ იკორთა XIX-XX საუკუნის მეცნიერთა ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა, არსებული მასალა ჯერჯერობით უცნობია და ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ ის მეტ-ნაკლებად სრული სახით წარმოგვეჩინა.

იკორთის პოპულარობამ განაპირობა მის გადასარჩენად სპეციალური კომისიის შექმნა. 1891 წლის „ივერია" აუწყებს ამ ფაქტს: 1891 წლის თებერვალში გორის საკრებულო ტაძრის მღვდელმა იოელ გამრეკელმა საქართველოს ეგზარქოსს გამოსთხოვა ნებართვა ტაძრის განსაახლებლად. ვინაიდან იკორთა ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხი იყო. კომიტეტის წევრებად ძირითადად ერისთავები ჩაეწერნენ: გვარდიის პოლკოვნიკი, თავადი რევაზ შალვას ძე ერისთავი, პოლკოვნიკი, თავადი კონსტანტინე ბიძინას ძე ერისთავი, თავადები კონა (იაკობ) მირმანოზის ძე და კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერისთავები, გორის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის მღვდელი იოელ გამრეკელი და იკორთის მღვდელი – დავით გამრეკელი. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გორის ეპისკოპოსი, უსამღვდელოესი ალექსანდრე. ამ დროს კომიტეტის ბიუჯეტი მხოლოდ თავად ივანე ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ შეწირულ 40 თუმანს შეადგენდა. იკორთის ნახვამ ეპისკოპოსს გული ისე აუჩუყა, რომ გადაწყვიტა ეკლესიის გადასარჩენად სასწრაფოდ შეეგროვებინა ფული. ამ წამოწყებას შესანიშნავი შედეგი მოყვა – ერისთავებმა არ დაიშურეს თანხები თავისი საგვარეულო საძვალის გასამაგრებლად, შეძლებისამებრ ყველა გაისარჯა.[26]

ამ კომისიის შექმნა სპეციალურად მოწვეულ სხდომაზე მოხდა. ამ სხდომაზე დამტკიცდა როგორც კომისიის შემადგენლობა, ასევე არქიტექტორ ბილფელდის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით ტაძრის შეკეთებისთვის საჭირო იყო 6404 მანეთი და 71 კაპიკი. მღვდელ იოელ გამრეკელს დაევალა შეედგინა ტაძრის მნიშვნელობის და ისტორიის ამსახველი დოკუმენტი, სადაც აისახებოდა ძეგლის აღდგენის საჭიროება და მიზანი. მასვე დაევალა ჟურნალის წარმოება შემოსავალ-გასავლის აღნუსხვით. ჟურნალში ყოველი შემოწირულობისა და გასავალის აღნიშვნა მოწმდებოდა ეკლესიის ბეჭდით, კომისიის თავმჯდომარისა და ყველა წევრის ხელმოწერის თანხლებით.[27]

იკორთის ტაძარზე სამუშაოთა მიმდინარეობა შესანიშნავად ისახება მღვდელ იოელ გამრეკელის წერილებში ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) მიმართ.

19.VII.1891 წ.

„...გუშინ ამ თვის 18-ს მე გამოვგზავნე ექსარხოსის კანცელარიაში გარდასაცემად არქიტექტორის ბილფელდისადმი 22მ. 40კ. საგზაო და შესადგენად ხარჯისა (სმეტისა), თუ რა მოუნდება იკორთის ეკლესიას განსაახლებლად, დიდი ხანია ველოდებით. თუმცა წელს მუშაობა ვგონებ აღარ მოხერხდება, მაინც ფულის მოგროვებას შეუდექით და საქმის დაწყებას; თქვენ როდესაც მობრძანდებით რა საკვირველია უბრძანებთ არქიტექტორს ბილფელდს თან გიახლოთ თქვენთან და აქ როგორც გვიბრძანებთ ისრე მოვიქცევით."[28]

---

[26] „ივერია", 1891, №188.

[27] Духовный вестник грузинского экзархата, 1892, №9, გვ. 15-16.

[28] მღვდელ იოელ გამრეკელის წერილი ალექსანდრე ეპისკოპოსს, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, №565.

შემდეგი ორი წერილი შემოწირულობებს და შესავალ-გასავლის ჟურნალს ეხება.[29]

4.VII.1892 წ.

იკორთის ეკლესია გარეთგან კედლები რაც საჭირო იყო შეკეთდა სრულებით და კარგათაც გარდა ზემოთ კრიშისა და პოლისა. კამიტეტის წევრთა ვნახეთ, მოვიწონეთ და გარდავწყვიტეთ მივსცეთ პოდრაჩიკს ასი თუმანი. ორმოც და ათი თუმანი მისცა თავად რევაზ ერისთავმა... გთხოვთ ...ინებოთ და გამოიტანოთ ორმოც და ათი თუმანი (ბანკიდან) და ჩემს სახელზედ წარმოგზავნით. ძალიან საჭირო გახლავთ ოსტატები აწუხებენ პოდრაჩიკს. ფანჯრები სრულებით გაკეთდა და ჩავასხით კიდეც. რაც ნამუშევარი გახლავთ ძალიან სუფთა გაკეთებულია და მოუხდა ყველიფერი".[30]

16.IX. 1892...

„...იკორთის ეკლესია სრულებით რაც გასაკეთებელი გახლდათ გაკეთდა, ესე იგი ლომფინი (ლორფინი ი.ე.) დაიხურა. კედლები შეკეთდა, იატაკი დაეგო და მთლად გაჯით გაილესა. ერთის სიტყვით, რაც კი პირობა ჰქონდა ბერძნიდან შეასრულა - სმეტის გარეშე ჩვენ კიდევ სამი ოთახი დასავლეთის მხარეს შენობა რომ გახლავთ მოუმატეთ ბერძენს და აკეთებს იმ ფულში, რაიც პირობით უნდა გაეკეთებინა. ამ ოთახის კედლებიც ამ ერთ კვირაზედ მზათ გეახლებათ. კარფანჯარა ამ ოთახებისა თავად კონა ერისთავმა რამდენიმე წლის წინად გააკეთებინა და ის გაუკეთეთ. ფული 100 თუმანი როგორც პირობა ჰქონდა თავად რევაზ ერისთავსა მივეცით ბერძენს და აგრეთვე თქვენგან წარმოგზავნილი 100 თუმანიც სხვა ჩავაბარეთ და ამაზეთ შესავალ-გასავალში ხელი უწერია ბერძენს. კიდევ ფულს თხოულობს და ეგება ინებოთ და ეგ 80 თუმანი რომელიც ბანკში გახლავთ გვიბოძოთ... ზეციდ დამავიწყდა და აი მოგახსენებთ მაღლა გუმბათში და ერთი სიტყვით ყველგან ჩავასხით იკორთის ეკლესიას ფანჯრები, შუშებითა და რკინის ბადეებით. ერთი სიტყვით ორი კარების შებმის მეტი არა აკლია რა ისინიც ამ ერთ კვირაზედ მზათ გახლდებათ. სხვაფრივ როგორც მიბრძანებთ, ისე მოვიქცევი..."[31]

ამგვარად, წერილებიდან ირკვევა, რომ 1892 წლისთვის იკორთის ტაძარი მთლიანად იყო აღდგენილ-შეკეთებული. იატაკიდან დაწყებული ლორფინის გადახურვით დამთავრებული. ეკლესია შეულესიათ კიდეც, ეტყობა, მხოლოდ ის ნაწილები, სადაც მხატვრობა არ იყო. ამ სამუშაოების შესრულებაში ბერძენ ოსტატს მიუღია მონაწილეობა.

---

[29] იქვე, №566, 3.XII. 1891, ფ. 700 ს. "თქვენი წერილი მივიღე, რომლითაც მიბძანებ, რომ მოვაგონო თავადს რევაზ ერისთავს, დაპირებული ფული ასი თუმანი წარმოგიგზავნოდ. ამ წინათ, 20-ს ამა თვისას, კომიტეტის წევრები გახლდით გორში შეგროვებულნი, იქ სხვათა შორის სთქვა რევაზ ერისთავმა ას თუმანს ცოტაოდენი მაკლია და იანვრის პირველში უეჭველივ წარმოვადგენო. მაინც კიდევ მოვაგონებ. წევრებმა მე მომანდეს „მოწოდების" შედგენა იკორთის ეკლესიის თაობაზედ; რაც გადავწყვიტეთ ყოველიფერი ჟურნალში გახლავთ მოხსენებული, რომელსაც „მოწოდებით" უკვე თქვენ მოვართმევთ მოკლე ხანში და თქვეს ექსარხოსს გადასცემთ დასამტკიცებლად"...

№567, 29. XII, 1891.

„...მოგართვით... ჟურნალი კომიტეტისა და მოწოდებაც, რომელზედაც ინებეთ და ორგან მოაწერეთ ხელი და გარდაეცით ექსარხოსს დასამტკიცებლად. ამასთან წიგნიც, რომელშიც უნდა ჩაიწეროს შემოსავალი და გასავალი იკორთის ეკლესიის განახლებაზედ - ამაზედაც ინებეთ ხელის მოწერა, როდესაც ექსარხოსი დაამტკიცებს ამ ჟურნალს, კარგს ინებებთ, რომ დაბეჭდვინებდეთ როგორც ახალ ჟურნალს „სასულიერო მოამბეში", აგრეთვე „ივერიაშიც" და იქ შემდეგ დაბეჭდვისა გვიბოძებთ ჩვენ... (გამეორებულია: თავადი რევაზ ერისთავი ფულს ;. 1892 შემოიტანს).

[30] იქვე, №568, 4.VII, 1892, ფ. 673 რ.

[31] იქვე, №569, 16.IX, 1892, ფ. 301 რ.

1895 წლის „იერეიაში“ იკორთის შესახებ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მონასტერში სასულიერო სასწავლებელი არსებობდა. 1817 წელს მონასტრის გაუქმების შემდეგ მის აღდგენამდე ტაძარში წირვა-ლოცვა არ წარმოებდა. სამუშაოთა დასრულების შემდეგ, 1893 წლიდან ტაძარი კვლავ მოქმედი გახდა. იკორთის გადასარჩენად შექმნილ კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონია ქვითკირის გალავნის აღდგენაც,[32] მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იდეა არ განხორციელებულა.

1894 წელს, გრაფინია უვაროვას აღწერით, ტაძარი ცუდ მდგომარეობაშია. გალავანი დანგრეულია, თუმცა, როგორც ჩანს, შემორჩენილი ყოფილა გალავნის ოთხკუთხა კოშკები, რომლებშიც ადგილობრივ მაცხოვრებლებს საწყობი მოუწყვიათ. მისივე ცნობით, იკორთის ტაძრის ტერიტორიის ირგვლივ მოსახლეთა საცხოვრებლები შენდება. უვაროვას მოხსენებას ახლავს ოტო-რენარის შესანიშნავი ფოტოები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ტაძრის იმდროინდელი მდგომარეობის წარმოსახვა. შეუდარებელია ტაძრის მაშინდელი და დღევანდელი მდგომარეობა. ტაძარი, უვაროვას საგანგაშო განცხადების მიუხედავად, მთელი თავისი კორპუსით არის აღმართული. ფოტოს მიხედვით ამოვსებულია გვიანი – XVII საუკუნის დასავლეთი კარიბჭის დასავლეთი თაღი და იმავე წყობით მიუშენებიათ სამხრეთი შესასვლელის წინ კარიბჭის ფუნქციის მატარებელი სრულიად სადა მინაშენი, რომელიც დღეს აღარ არსებობს. გუმბათი სრულად არის შემონახული. როგორც უვაროვა იტყობინება, ფოტოზე გარეგნული სისრულის და ჩატარებული სარემონტო სამუშაოების მიუხედავად, ძეგლი აშკარად მოუწესრიგებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

უვაროვა აღასტურებს ცნობას XVIII საუკუნეში მიწისძვრის შედეგად ეკლესიის დაზიანებისა, რის შედეგადაც გამქრალა საფასადო თაღების კუთხის ლილვების დამასრულებელი ყულფი, რომლის კვანძში გველის თავის გამოსახულება ყოფილა ჩაწნული.

ბევრად უკეთ იყო იმ დროისთვის შემორჩენილი კარნიზიც, რომელიც დღეს მთლიანად გამოქარულია. უვაროვას მიერ გამოქვეყნებულ ფოტოებზე კარნიზი შემორჩენილია სამხრეთი და დასავლეთი ფასადების ძირითადი ჯვრის მკლავის ფრონტონებზე. როგორც ჩანს, სამხრეთი კარიბჭის დანგრევამ სამხრეთ-დასავლეთით თაღები დააზიანა. ფოტოების მიხედვით, ამ დროს ეკლესია ბაზალტის ქვის ორსაფეხუროვან ცოკოლზე დგას.

უვაროვა იზიარებს ბაქრაძის შეხედულებას ძეგლის აღრეულ ხანაში აგების თაობაზე, თვლის, რომ იგი ოსტატურად არის შეკეთებული, ისე, რომ არ იგრძნობა სტილისტური რღვევა და მან პირვანდელი იერი შეინარჩუნა. ტაძარს ამახინჯებს მხოლოდ მინაშენები, განსაკუთრებით სამხრეთი მხრიდან.[33]

საყურადღებოა, რომ უვაროვა უთითებს ელიზბარ, შალვა ერისთავების და ბიძინა ჩოლოყაშვილის საფლავების ადგილმდებარეობას, რომელნიც, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კედელთან იყო განთავსებული.

ამავე წლის „ივერიის“ ქრონიკებიდან ვიგებთ, რომ ბერ გამალეილ გამრეკელს უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის იკორთის აღდგენაში, სწორედ მისი შრომითა და მეცადინეობით იქნა განახლებული მონასტერი. გამრეკელს განათლება რომში მიუღია, შემდგომ რუსეთში გაყოლია ანტონ კათალიკოსს და იქიდან დაბრუნებისთანავე შეუდგა ტაძრის შეკეთებას. ამ დროს მონასტერთან გაუშენებიათ სახლები, მის მახლობლად დაუარსებიათ სოფლები ვანთა, ქვეში და ფლავი, შეუძენიათ მამულები ქოთისსა და ქუმისში, და დუქნებიც კი გორსა და თბილისში. მონასტრის ასეთი გამძლავრება ტრაგიკულად დასრულდა – აღმოჩნდა, რომ

---

[32]. „ივერია“, 1895, №168, გვ. 2

[33]. П.Уварова, Христианские памятники, МАК, IV, М., 1894, გვ. 154-158.

გაურკვეველი მიზეზების გამო მონასტერიც და მის მიერ შეძენილი მთელი ზემოთ ჩამოთვლილი საკუთრება კერძო პირთა ხელში ყოფილა გადასული.[34]

XIX საუკუნის ბოლო ინფორმაციით, 1895 წლის მაისში იგუმენი კირიონი საქართველოს ეგზარქოს, უწმინდეს ვლადიმირთან ერთად მგზავრობს ქართლში და მიმოიხილავს მთელ რიგ ეკლესიებს, რომელთა შორის იკორთას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ისიც, მსგავსად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კორესპონდენტისა, იზიარებს ტაძრის ადრეულ ხანაში აგების პლატონ იოსელიანისეულ ვერსიას (VI-VII სს-ი) და მშენებლობას ადარნასე II-ს უკავშირებს. ძეგლის ავბედითი ცხოვრების აღწერის შემდგომ, იგუმენი კირიონი აღნიშნავს, რომ ეკლესიის დასაცავად შექმნილი კომისიის მიერ ძეგლის შეკეთების მცდელობის მიუხედავად, სამუშაოები ბოლომდე მიყვანილი არ არის. ამას თვით ეგზარქოსმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ ტაძრის სახურავი დაზიანებულია, რაც ანესტიანებს ეკლესიის კედლებს და აფუჭებს კედლის მხატვრობას.[35]

ამ ბოლო ინფორმაციის შემდეგ, ინტერესი იკორთის ტაძრის მიმართ რამდენიმე წლით თითქოსდა შენელდა. თუმცა, როგორც საბუთებით ჩანს, შეკეთების ორი წლის თავზე ეკლესიის სახურავი უკვე დაზიანებული იყო და ნგრევის პროცესიც თანდათან მატულობდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იკორთა სეისმურ ზონაში მდებარეობს (ამას მოწმობს XVIII ს-ში მიწისძვრით დანგრეული სამხრეთი სვეტი), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მცირე ბიძგები, XX საუკუნის დასაწყისშიც იყო. ყოველ შემთხვევაში, შემდგომი მონაცემებით ირკვევა, რომ 1909-1910 წლებში ტაძარი კვლავ სავალალო მდგომარეობაშია.

ამის დასტურად მოგვყავს ეკატერინე სარაჯიშვილი-ერისთავის წერილები, გრაფინია პრასკოვია უვაროვასთან (ეკატერინე სარაჯიშვილი იყო დავით სარაჯიშვილის და, შესანიშნავ მხატვარ-ეთნოგრაფის ნინო ბრაილაშვილის ბებია და ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნის ეკატერინე პრივალოვას დიდი ბებია).

მეჯვრისხევი, 7. XI. 1909 ? წ.

"Посылаю Вам - фотографии Икорты, храм в [адском] виде, идёт полное разрушение внутри и с наружи церкви; не придумаешь; как поддержать её. В увеличительном стекле можно видеть как пострадала крыша церкви и наружная облицовка, тут-же лежат камни с резьбой, какая жалость".[36]

ტფილისი 17. XII. 1909 წ.

"Я посылаю Вам фотографию, чтоб иметь понятие в каком печальном состоянии Икорта, зная как Вы интересуетесь нашими церквями. Я вовсе не имела ввиду вас обеспокоить (извлеканием?) средств для ремонта. Экзарха у нас нет, и его должность временно исполняет Бакинский епископ Григорий (Русский) которые ничего не может сделать."[37]

ტფილისი, 10. III. 1910 წ.

მადლობას უხდის გრაფინია პრასკოვია უვაროვას მისი მონდომებისათვის დაეხმაროს იკორთის ტაძრის რესტავრაციაში, თუმცა არა აქვს ეგზარქოსისა და გრაფინია ვორონცოვას შემწეობის იმედი. "Мне кажется, самое необходимое, это перекрыть крышу хоть железом, чтоб перекратилась течь, края разрушает; масса камней

---

[34] "ივერია", 1895, №183, გვ. 1 (ქრონიკა).

[35] Духовный вестник грузинского экзархата, 1897, №17, გვ. 16-17.

[36] ეკატერინე (სარაჯიშვილი) ერისთავისას წერილები პრასკოვია უვაროვას, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. უვაროვას ფონდი №52 (ფოტოპირი), ფ. 584.

[37] იქვე, პრ. უვაროვას კოლ. №54 (ფოტოპირი), ფ. 581.

попадала и разтакивается крестьянами. Грустную картину представляет этот чудный храм".[38]

ამ წერილებს უკვალოდ არ ჩაუვლია. გრაფინია პრასკოვია უვაროვა იკორთაში მივლინებით აგზავნის ექვთიმე თაყაიშვილს.

ამ მოვლენების შედეგი და ტაძრის იმდროინდელი ფიზიკური მდგომარეობა იკვეთება ექვთიმე თაყაიშვილის წერილში საეკლესიო მუზეუმის გამგეობის თავმჯდომარის ეპისკოპოს დავითის მიმართ. წერილი 1910 წელს უნდა იყოს დაწერილი. ე. თაყაიშვილი ამ წერილში ხსნის ტაძრის მნიშვნელობას, ვითარცა წმინდა მოწამეთა შალვა, ელიზბარ და ბიძინას განსასვენებლისა და ქსნის ერისთავთა საძვალისა. მისი თქმით, ეკლესია "является по красоте и архитектурным своим достоинствам одною из лучших в Грузии и служит драгоценным памятником грузинской страны" - ამიტომ იგი ავალებს დ. ერმაკოვს ტაძრის მთლიან დეტალურ გადაღებას. 'Церковь эта на столько ещё сохранилась, что может быть возбновлена сравнитеьлно не дорого. Прежде всего нужно позаботиться о кровле. Старая каменная крыша, из каменной лешади попорчена, в церкви образовалась течь и это обстоятельство главным образом приводит к разрушению церкви. далее сильно пострадал, по видомому от удара молнии, правый столб внутри церкви. Столбы и остальная часть церкви имеют небольшие изьяны, которые сравнительно легко поправить. К западу от церкви на горе развалины крепости, а перед ними в 1899 году начали строить дом для священника, но бросили недостроенным, тогда же, как мне говорили, издержали на ремонт церкви 5000 рублей, но ремонт, как теперь ясно, вышел неудачный, ибо крыша опять дает течь" ექვთიმე თაყაიშვილი თვლის, რომ ლორფინის სახურავის მოწყობა ახლანდელ ოსტატებს არ შეუძლიათ, ამიტომ ახალი შეკეთებისას სპილენძის, თუნუქის ან მოკალული თუნუქის სახურავის გაკეთებას თავაზობს. ამასთან, ამავე წერილში, იკორთის ტაძარში დაცულ იმ ნივთებსაც ჩამოთვლის, რომელნიც შეიძლება გადაეცეს საეკლესიო მუზეუმს.[39]

1916 წელს გაზეთი „ახალი ფურცელი" აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ იკორთის ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. სტატიის ავტორი, ვინმე სანგანიძე აღწერს აღფრთოვანებით იკორთის ტაძარს, მის გარემოს და ძეგლის შეკეთებასთან დაკავშირებით ფრიად საგულისხმო შენიშვნას იძლევა: „იკორთას ამჟამად რესტავრაციას უშვრებიან და ამისთვის უნდა შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთის კედლიდან ძველი გამოჩუქურთმებულ დაკარგულ ჯვრებიან ალაგას (ნაგულისხმევია აღმოსავლეთი ფასადის ნიშების სამყურა ფესტონები - ი.ე.) ახალი ჩაუსვამთ. ეს უკანასკნელი კი ძველების გვერდით სრულებით არა შვენიან. უმჯობესია, რაც დარჩა ის გაამაგრონ და მძლავრი შთაბეჭდილება სადა და მოთეთრო ჯვრებით არ გააქარწყლონ".[40]

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ, შესაძლოა არაპროფესიული ენით დაწერილ, მაგრამ საოცრად ზუსტ ანალიზს იმ შეკეთებისა, რომელიც დღესაც ამახინჯებს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადს.

ამგვარად, მეორე ეტაპი რესტავრაციისა იკორთაზე დაწყებული ყოფილა 1916 წელს. ფაქტია, რომ ამ სასიკეთო საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ზემოთ მოტანილ წერილების ავტორებსაც და ადრესატსაც.

---

[38] იქვე, №51 (ფოტოპირი), ფ. 581.

[39] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი, №1005.

[40] „ახალი ფურცელი", 1916, №662, გვ. 2-3.

როგორც ჩანს, უკანასკნელი შეკეთება შედარებით მოკრძალებული იყო. გარდა აღმოსავლეთი ფასადის ნიშებში ფესტონების ზემოთ აღნიშნული შეცვლისა, შეუკეთებიათ სახურავიც, თუმცა არ გაითვალისწინეს ექვთიმე თაყაიშვილის წინადადება ლორფინის თუნუქის სახურავით შეცვლასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება XIX საუკუნის რესტავრაციას, იგი უფრო თვალშისაცემი და მასშტაბურია. ინტერიერში შეცვლილია გუმბათქვეშა სვეტები. საკმაოდ უხეშად შელესილი იყო სარკმლები, რის გამოც სარკმლის აბრისი უსწორმასწოროა (განსაკუთრებით გუმბათის სარკმლების შიდა პირი). ფასადებზე შეცვლილია წყობა ტაძრის ზედა ნაწილში (ჩრდილოეთი ფასადის ჩრდილო-დასავლეთ, სამხრეთი ფასადის სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთი ფასადის ჩრდილოეთ მონაკვეთებში). ასევე, ძეგლის თითქმის მთელ პერიმეტრზე შეცვლილია ადრინდელი ორნამენტული კარნიზი. ძველი კარნიზის გამოქარული ფრაგმენტები შემონახულია ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთებში.

როგორც ვიცით, ეკლესიას ადრეული რესტავრაციის კვალიც აჩნია (XIV ს-ის II ნახ.). ინტერიერში, ეს ჯვრის დასავლეთი მკლავის სახეცვლაში მდგომარეობს. სავარაუდოა, რომ ტაძრის ეს ნაწილი გადაწყობილი იყო. კამარა აშკარად გადაკეთებულ-დადაბლებულია. ამაზე, ერთი მხრივ, მოუწესრიგებელი აგურის წყობა მეტყველებს (საპირისპირო, აღმოსავლეთი მხარის კამარები აკურატული, წყობით არის ამოყვანილი); მეორე მხრივ, კამარის დადაბლების მანიშნებელია კამარაში შეჭრილი, დასავლეთ კედელში მოთავსებული სარკმლების შიდა მოხაზულობა.

ასევე, ჩვენი აზრით, შეკეთების შედეგია ტაძრის აღშენების თანადროულად აღიარებული ჯვრის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი თაღების საბჯენი მრგვალი, მოხდენილი პროპორციების სვეტიც. თავისი დახვეწილი მხატვრული სახის მიუხედავად იგი არაორგანულია, მეტისმეტად სუსტია ტაძრის მთლიანი ორგანიზმისათვის, მასშტაბურად შეუფერებელი.

იკორთის ექსტერიერი და ინტერიერი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. იმისდა მიუხედავად, რომ ორივეგან გადაკეთების კვალი დაკვირვებისას ჩანს, ფასადებზე ეს ნაკლებად შესამჩნევია. წყობის განსხვავებული ხასიათის მიუხედავად დეკორატიული სისტემა, რომელიც კრავს გარე მასებს, ისევე, როგორც ორნამენტის მრავალფეროვნება და სიუხვე და მასათა პროპორციული შეფარდება ქმნის ერთიანობის შთაბეჭდილებას. მხოლოდ სათანადო დაკვირვების შედეგად შეიძლება განირჩეს სხვადასხვა დროის შეკეთების კვალი, რომელიც ფასადებზე განსხვავებული ხასიათის უფრო წვრილი ქვებით შედგენილი წყობით მეღავნდება.

საგულისხმოა, რომ XIX-XX საუკუნეების შეკეთების დროს დაცულია XIV საუკუნის წყობის ხასიათი, თუმცა ქვა ფერითაც და ჯიშითაც სრულიად განსხვავებულია - გამოყენებულია მორუხო-მოღვინისფრო ბაზალტი.

1961-62 წლებში იკორთის ტაძარზე ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ შეკეთდა გადახურვა, დაგეგმილი იყო საფუძვლიანი სარემონტო სამუშაოების ჩატარება. 1980-იანი წლების ბოლოს ტაძრის შეკეთების მიზნით იგი ჩასვეს მასიურ რკინის ხარაჩოებში. პოლიტიკური ვითარების გართულების გამო სამუშაოები შეჩერდა. 1991 წლის 21 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა ეკლესიის გუმბათი, რომელმაც ამდენ საუკუნეს გაუძლო. იგი თითქმის 3/4-ით ჩამოინგრა. დაიღუპა შესანიშნავი ჩუქურთმიანი სარკმლების საპირეები და კედლის მხატვრობა. დაზიანდა გადახურვა და სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი. ნაწილობრივ მოირღვა საპირე წყობა. ნგრევის ასეთი მასშტაბი ნაწილობრივ დარჩენილი ხარაჩოების არსებობამაც განაპირობა.

იკორთის ტაძრის საკონსერვაციო სამუშაოები დაიწყო 1998-99 წლებში „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდისა“ და ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით. სამუშაოები ხორციელდება სარესტავრაციო ფირმა „ხერთვისის“ მიერ (პროექტის ხელმძღვანელი მ. ბოჭოიძე, არქ. რესტავრატორი ლ. ბოკუჩავა, კონსტრუქტორი - გ. ჭანუყვაძე, მშენებელი – გ. ხურცილავა). ამჟამად დასრულებულია პირველი რიგის საკონსერვაციო სამუშაოები.



სურ. 2. იკორთა.
აღმოსავლეთის ფასადი

დიდია იკორთის ტაძრის მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა. მისდამი ინტერესი არც ჩვენ დროში ჩამცხრალა. ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის განვითარების გზაზე იკორთას გამორჩეული ადგილი უჭირავს. ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების თითქმის არცერთ მკვლევარს, რომელიც კი შეხებია გუმბათიან ნაგებობებს, გვერდი არ აუვლია იკორთისთვის. ამიტომ მოკლედ მისი შესწავლის ისტორიასაც უნდა შეეხოთ, რომელიც ტაძრის თავგადასავლის ნაწილადაა ქცეული.

გ. ჩუბინაშვილს იკორთაზე თუმცა ცალკე კვლევა არ ჩაუტარებია, მაგრამ მისი მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა გააზრებული ჰქონდა. მკვლევარისთვის ეს ნაგებობა განვითარებული „ბაროკოს“ უმნიშვნელოვანესი ნიმუშია.[41]

[41] Г.Н. Чубинашвили, Из истории средневекового искусства Грузии, М. 1990, გვ. 37; Г.Н. Чубинашвили, Пути развития грузинской архитектуры, თბ., 1936, გვ. 132.

ვ. ბერიძე არაერთგზის ახსენებს იკორთის ტაძარს XII-XIII საუკუნეთა გუმბათიანი ეკლესიების მხატვრულ-სტილისტური სახის აღწერისას. ამ პერიოდის ქართლის გუმბათოვან ნაგებობათა ნუსხაში (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წულრუდაშენი), იკორთას მკვლევარი არა მხოლოდ თარიღის გამო უთმობს პირველ ადგილს (ის ერთადერთია ამ ქრონოლოგიურ ჯგუფში, რომელიც თამარის გამეფებამდე იყო აგებული), არამედ იმიტომაც, რომ ტაძარი ახალ ესთეტიკურ პრინციპებთან ერთად, ჯერ კიდევ XII საუკუნის პირველი ნახევრის მხატვრულ-სტილისტური ნიშნების შემცველია.[42]

იკორთის ტაძრის ფასადების დეკორატიულ გაფორმებას მოკლედ ეხებიან ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ცნობილი მკვლევარნი – რენე შმერლინგი[43] და ნიკო ჩუბინაშვილი.[44]

ყველაზე ვრცელი კვლევა იკორთის შესახებ პ. ზაქარაიას ეკუთვნის. მკვლევარს მოყვანილი აქვს ტაძარზე არსებული და უკვე დაკარგული ლაპიდარული წარწერები, იძლევა ძეგლის აღწერას და არქიტექტურული ანალიზით ადასტურებს ძეგლის წარწერაში მოცემულ სააღმშენებლო თარიღს (1172 წ.)[45] მასვე ეკუთვნის გამოკვლევა იკორთის ციტადელის შესახებ.[46]

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევართათვის ინტერესის სფერო ძეგლზე დაცული ლაპიდარული წარწერებითა და ტაძარში დაკრძალულ ისტორიულ პირთა მნიშვნელობით შემოიფარგლებოდა. ჩვენი დროის მეცნიერები უკვე იკორთის მხატვრულ სახეს ეხებიან და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების გზაზე მას გარკვეულ ადგილს უჩენენ. ამისდა მიუხედავად, სადღეისოდ იკორთის ტაძრის სრულყოფილი კვლევა, ნაგებობის გადაკეთებათა ფიქსაციით და სრული ბიბლიოგრაფიით ჯერ არ ჩატარებულა.

იკორთის ტაძარი ეტაპური ნაგებობაა. დიდია მისი მხატვრულ-ისტორიული ღირებულება. გარდა იმისა, რომ იგი ქსნის ერისთავთა საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა, იყო საქართველოს გმირთა – შალვა და ელიზბარ ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ნეშტის განსასვენებელი ადგილი, იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სივრცით-კომპოზიციური, უჩვეულო გადაწყვეტის გამო, რისი მეშვეობითაც ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების გზაზე მას გამორჩეული ადგილი ეთმობა. იკორთის ხუროთმოძღვარს შეთვისებული აქვს XI საუკუნეში შემუშავებული პროგრესული, ახალი კომპოზიციური სტრუქტურა – გეგმის შემჭიდროება, გუმბათქვეშა სივრცის გაერთიანება საკურთხეველთან და, ამავე დროს, შენარჩუნებულ-გამოყენებულია ძველი ტრადიცია – წაგრძელებული დასავლეთი მკლავი და „გარდამავალ ხანაში“ პოპულარული სამნაწილოვანი, სივრცეში გახსნილი საკურთხეველი. იკორთის ოსტატი ქმნის თავისებურ, არაორდინარულ კომპოზიციას. იგი დგას ორი მხატვრულ-სტილისტური მოვლენის გასაყარზე, X-XI და XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე. მასში კონცენტრირებულია ორივე ეტაპის ელემენტები. ასევე ახლებურადაა გარდასახული ფასადთა დეკორატიული სისტემა, რომელიც, ერთი შეხედვით, XII საუკუნის ტიპიური მოვლენაა და, ამავე დროს, უჩვეულო გადაწყვეტებით არის გამდიდრებული, რომელთაგან ზოგიერთი

---

[42] ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, გვ. 60-61, 151.

[43] R. Шмерлинг, Самтавро - памятник XI века, ქართული ხელოვნება, 1, თბ., 1942, გვ. 57-58.

[44] Н. Г. Чубинашвили, Церовани, თბ., 1976, გვ. 19-21.

[45] პ. ზაქარაია, ქართული ცენტრ. გუმბ. არქიტ., ტ. I, გვ. 110-125, ტაბ. 75-95.

[46] პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ. 1973, გვ. 74-81.

გაგრძელებას ჰპოვებს მომდევნო საუკუნეების ტაძართმშენებლობაში, ზოგიც კი სრულიად განუმეორებელი სახის მატარებელია.

მოხდენილი პროპორციების იკორთის ტაძარი განუყოფელი ნაწილია მთებით შემოსაზღვრული ულამაზესი და ამჟამად უკაცრიელი გარემოსი. მიმზიდველი და მოკრძალებულ-გამარტივებული, შორიდან იმპოზანტური, მორთულ-მოკაზმული, მიახლოებისას უფრო ინტიმურობითა და კამერულობით გვეგებება.

Resume

Irine Elizbarashvili

Materials for the Architectural History of Ikorta Church

Based on the literary sources (inscriptions, chronicles, periodicals, correspondence, etc.) and architectural data, the article gives architectural history of Ikorta church (1172), beginning from the 12th c. up to present.